<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


ძებნი სიტყვა
პეტრე ქავთარაძის ქუჩა
ვაჟან მაჩაბელიშვილის ქუჩა
ზიზეფელ ბაგრატიონის ქუჩა
ჯერხა ნადირაძის ქუჩა
ჯერხა ნადირაძის I შესახვევი
უნივერსიტეტის ქუჩა
NAPR
1 : 2831
გეოგრაფიული (გრძედი,განე

ლევან ალექსიძე

(1926-2019)

აკადემიკოსი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი 91990-19910, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი. 2010 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე. „საერთაშორისო სამართლის“ პირველი ქართველი მეცნიერი. ღირსების ორდენის კავალერი, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი).

დაიბადა 1926 წლის 5 ივლისს თბილისში. 1946 წელს დაამთავრა სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1950 წლის ივლისში მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „გაეროს უშიშროების საბჭოში მოქმედი ერთხმივობის პრინციპი, როგორც საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი“. 1970-1977 წლებში ლევან ალექსიძე მივლინებული იყო ნიუ-იორკსა და ჟენევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს, ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის პასუხისმგებელ მუშაკად. 1975-1976 წლებში ასრულებდა ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის დირექტორის, აგრეთვე გაეროს გენერალური ასამბლეის მესამე კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა კომისიის მდივნის მოვალეობას, გაეროს გენერალური მდივნის ოფიციალური წარმომადგენლის ფუნქციას მის მიერ ორგანიზებულ გაეროს სემინარებზე. 1977 წლიდან დღემდე თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის პროფესორია, 1977 წლიდან სამართლის საფუძვლებისა და საერთაშორისო სამართლის კათედრის გამგეა. 1985-1992 წლებში თსუ-ს პრორექტორია.

1988 წელს ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2001 წლიდან იგი ამავე აკადემიის ნამდვილი წევრია. ლევან ალექსიძე 150-მდე შრომის ავტორია, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ესპანურ ენებზე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

N 10307/01-03-65

10307-01-03-65-2-
201908081725

08/08/2019

ქ.თბილისის მერს ბ-ნ კახა კალაძეს,

ქ.თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბ-ნ გიორგი ტყემალაძეს,

ქ.თბილისის საკრებულოს სახელდების

და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს,

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, აკადემიურმა საზოგადოებამ ახლახანს დიდი დანაკლისი განიცადა აკადემიკოსის, თსუ საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ლევან ალექსიძის გარდაცვალების გამო. პროფესორმა ლევან ალექსიძემ 70 წელზე მეტი მიუძღვნა უნივერსიტეტს, იურიდიული ფაკულტეტის მრავალ თაობასა და საქართველოს სახელმწიფოს წინაშე მდგარ მწვავე საერთაშორისო სამართლებრივ გამოწვევებს. ლევან ალექსიძე მიიჩნევა საერთაშორისო სამართლის ქართული სკოლის დამფუძნებლად. ამ დარგის გლობალურ განვითარებაში მის მიერ შეტანილ წვლილს მსოფლიოს მასშტაბით არაერთი აკადემიური საზოგადოება აღიარებს. მას განსაკუთრებული დამსახურებები ჰქონდა სახელმწიფოს წინაშე, რომლის დიპლომატიურ სამსახურში ათეული წლები იმსახურა, წარმოადგენდა საქართველოს ინტერესებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, შეიტანა უდიდესი წვლილი დამოუკიდებლობის აღდგენის და ტერიტორიულ კონფლიქტებთან დაკავშირებულ საერთაშორისო სამართლებრივ საკითხების გადაწყვეტაში.

ლევან ალექსიძის მოღვაწეობა განსაკუთრებულ პატივისცემას და აღნიშვნას საჭიროებს. მისი სახელის უკვდავსაყოფად, გთხოვთ, ლევან ალექსიძის სახელი მიანიჭოთ ქ.თბილისის ერთ-ერთ ქუჩას.

პატივისცემით,

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge

ტელეფონი: +(995 32) 222 02 41 Tel.
ფაქსი: +(995 32) 222 51 07 Fax.
ელ-ფოსტა: rector@tsu.ge; chancellery@tsu.ge E-mail

გიორგი შარვაშიძე



რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი